სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილება № 05

2017 წ. "29" 03

ქ.თბილისი

სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის სააპელაციო საჩივრის მიღების შესახებ

2017 წლის 29 მარტს სააპელაციო საბჭოს წარედგინა სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის სააპელაციო საჩივარი (რეგისტრაციის №297669) რომელიც ეხება „სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმისათვის ავტორიზაციაზე უარის თქმის შესახებ" ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2017 წლის 17 მარტის № 54 გადაწყვეტილებას. საჩივრით მოთხოვნილია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოსათვის საკითხის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ გადაწყვეტილების მიღება.

სააპელაციო საბჭომ, ზეპირი მოსმენის გარეშე, განიხილა სააპელაციო საჩივრის მიღების საკითხი, გაეცნო წარმოდგენილ მასალებს და მიიჩნია, რომ საჩივარი პასუხობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 26^3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის მოთხოვნებს და ამავე დებულების 26^3 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებულ იქნეს სპს ცისიერ დიღმელაშვილის ქართულ-ფრანგული სკოლა ლიცეუმის №297669 სააპელაციო საჩივარი.
2. დაევალოს სააპელაციო საბჭოს სამდივნოს გადაწყვეტილების დაინტერესებული მხარეებისათვის გაცნობის უზრუნველყოფა.
3. სააპელაციო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
აპოლონ სილაგაძე